

2017 წლის 8 მარტი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 8 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მიმართვა, მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი, მსაჯების ლაშა გიორგაძის, ვაჟა გოცირიძის და მამუკა კვერნაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 5 მარტს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე, დუშეთის „ტორნადო“-სა და თბ „თსუ“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მატჩის პირველ ნახევარში მომხდარი ინციდენტის გამო, მთავარმა მსაჯმა მოედინიდან წითელი ბარათებით გააძევა დუშეთის „ტორნადო“-ს მორაგბე ირაკლი გოგოლაძე (კონფლიქტის დამწყები) და თბ „თსუ“-ს მორაგბე გიორგი ამილახვარი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ დუშეთის „ტორნადოს“-ს მორაგბე ირაკლი გოგოლაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „თსუ“-ს მორაგბე გიორგი ამილახვარი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/